პროექტი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ზოტის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე N1 ქუჩისთვის, 3 ჩიხისა და 1 შესახვევისთვის, მურთაზ ირემაძის სახელის მინიჭების შესახებ გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ზოტის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე N1 ქუჩისთვის, 3 ჩიხისა და 1 შესახვევისთვის, მურთაზ ირემაძის სახელის მინიჭება მოხდეს გამონაკლისის სახით, მისი გარდაცვალებიდან 20 წელის გასვლამდე.

მუხლი 2.

განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტის ავტორი: მარინე ბერაძე